# ჩემი ხარაგაული

www.chemikharagauli.com

18 მაისი, პარასკევი 2012 წ. №18 (493) ყოველკვირეული დამოუკიდებელი გაზეთი • გამოდის 1998 წლის მარტიდან • ფასი 40 თეთრი



**დღეს ნომერშია**

რა შეისყიდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამარტივებული ელექტრონული ტენდერებით (2 გვ.)

პირველ კვარტალში სოციალური დაცვისათვის, შარშანდელთან შედარებით, 29 200 ლარით მეტი გაიხარჯა (2 გვ.)

საქართველოს ბიუჯეტი იზრდება (2 გვ.)

თბილისში ხარაგაულის ლიტერატურულმა თეატრმა ოტია იოსელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გამართა (3 გვ.)

ვულოცავთ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებას (3 გვ.)


## არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ფონდ „ქომაგის“ დაარსებასთან დაკავშირებით

ბოლო პერიოდში მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი „ქომაგი.“ გაზეთ „რეზონანსის“ 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართული ოცნების“ ლიდერები საუბრობენ ფონდის სამომავლო გეგმებზე, რაც იწვევს ფონდის საქმიანობის ასოცირებას მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან.“

სტატიიდან ირკვევა, რომ ფონდი პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულ პირებს ფინანსურ და იურიდიულ დახმარებას გაუწევს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ფონდი დაზარალებულ მოქალაქეს გამოუყოფს ადვოკატს, აუნაზღაურებს მკურნალობის და სხვა ხარჯებს. მისცემს წართმეული სოციალური შემწეობისა და დაკარგული ხელფასის სრულ კომპენსაციას... საჭიროებიდან გამომდინარე 1500-დან 5000 ლარამდე ყოველთვიურ დახმარებას გამოუყოფს.“

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს პოლიტიკური მიზნით, როგორც პოლიტიკური პარტიის მხრიდან პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირ (სხვა პირის მეშვეობით) ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზებას, დაპირებას, გადაცემას ან გაწევას, ასევე, წინასწარი შეცნობით ასეთის მოთხოვნას ან მიღებას.“

მოვუწოდებთ ნებისმიერ პირს თავი შეიკავოს ქმედებებისგან, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნას ამომრჩევლის მოსყიდვად, ვინაიდან მატერიალური ფასეულობების გადაცემა პოლიტიკური მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე. ამასთანავე, ამ ქმედებამ შესაძლოა პასუხისმგებლობის ქვეშ დააყენოს არა მარტო პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები/მათ სასარგებლოდ მოქმედი პირები, არამედ, მატერიალური სიკეთის მიმღები პირებიც.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“**
**„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“**
**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“**
**კოალიცია „თავისუფალი არჩევნისთვის“**
**„მრავალეროვანი საქართველო“**

## 21 მაისს ბიუროს სხდომაზე განიხილავენ

21 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართება.

ბიუროს წევრები განიხილავენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ა(ა)იპ „ხარაგაულის მუსიკალური სკოლის“ საქმიანობას 2011 წელს და 2012 წლის განვლილ პერიოდში;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს დებულებას და

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ ბეჭდის გამოყენების წესს.

ბიუროს წევრები ცვლილებას შეიტანენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულებაში.

ბიუროს სხდომაზე განხილულ საკითხებს დეპუტატები საკრებულოს მორიგ სხდომაზე დაამტკიცებენ.


თვითმმართველი ერთეული-ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
საშვი №59
მოქალაქე
ვისთან
შესვლის დრო 10:31
გამოსვლის დრო 11.05.2012
თარიღი
ხელმოწერა

## საშვთა სისტემა - წინგადადგმული ნაბიჯი?!

გასულ კვირაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საშვთა სისტემა დააწესეს. შეიზღუდა დამოუკიდებელი გაზეთის „ჩემი ხარაგაული“ ჟურნალისტთა შესვლა საკრებულოსა და გამგეობაში.

ჩვენს შეკითხვაზე, არეგულირებს თუ არა ჟურნალისტების ადმინისტრაციულ შენობაში შესვლასა და გადაადგილებას რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საკრებულოს თავმჯდომარე **აკაკი მაჭავარიანმა** წერილობით გვიპასუხა:

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქალაქეთა მიღების წესს არეგულირებს საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 11 მაისის ბრძანება №67.“

გამგებელმა თორნიკე ავალიშვილმა იმავე შეკითხვაზე წერილობით გვაცნობა, რომ „გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გამგეობის შრომის შინაგანაწესი არეგულირებს მოქალაქეთა გადაადგილების წესს, რომელსაც სცემს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული მოქალაქეთა მისაღები, სადაც ხდება გამგეობაში შემსვლელ პირთა რეგისტრაცია და აღრიცხვიანობა.“

საკრებულოს თავმჯდომარემ სიტყვიერად აღნიშნა, რომ ჟურნალისტებისთვის ცალკე წესები დადგენილი არ არის.

რა ფაქტობრივმა და სამართლებრივმა საფუძვლებმა, გარემოებებმა და წინამძღვრებმა განაპირობა საშვთა სისტემის შემოღების აუცილებლობა, ამ შეკითხვით წერილობით მივმართეთ და პასუხს მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან ველოდებით.

მიგვაჩნია, რომ საშვთა სისტემის შემოღება ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებელ მედიასთან და მოქალაქეებთან ურთიერთობაში არ არის წინგადადგმული ნაბიჯი.

„მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა მთავრობამ გაითვალისწინოს ჟურნალისტების საჭიროებები, მუდმივად ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებთან. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჟურნალისტებთან ერთად უნდა შეიმუშაოს ჟურნალისტებისათვის ერთწლიანი აკრედიტაციის აპრობირებული მექანიზმი და არ შეუზღუდონ ადგილობრივ დამოუკიდებელ მედიასაშუალებას საქმიანობა, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მუშაობის გაშუქებას,სხვა მრავალ თემასთან და სფეროსთან ერთად,“ - ამბობს **ლიკა ბასილაია-შავგულიძე,** - „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მედია ანალიტიკოსი.

**ლაურა გოგოლაძე**

## სკოლები მზად არიან საატესტატო გამოცდებისთვის

21 მაისს სკოლებში საატესტატო გამოცდები იწყება. მეთორმეტეკლასელები პირველ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარებენ; 22 მაისს - უცხო ენაში, 23 მაისს - ისტორიაში, 24 მაისს - გეოგრაფიაში, 25 მაისს - ფიზიკაში, 28 მაისს - ქიმიაში, 29 მაისს - ბიოლოგიაში, ხოლო 30 მაისს - მათემატიკაში.

ხარაგაულის რესურსცენტრის უფროსის, **გია არევაძის,** ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში შექმნილია 14 საგამოცდო ცენტრი. წიფის, ვახანის, ბორის, ნადაბურის, ხევის, ვერტყვიჭალის, ბორითის, ღორეშის საჯარო სკოლების საგამოცდო ცენტრებში მხოლოდ შესაბამისი სკოლების მეთორმეტეკლასელები ჩააბარებენ საატესტატო გამოცდებს. ექვს საგამოცდო ცენტრში კი ასევე მოვლენ მეზობელი სოფლების სკოლების კურსდამთავრებულებიც. ზვარის საგამოცდო ცენტრში ზვარელი მოსწავლეების გარდა, გამოცდებს მოლითის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელებიც ჩააბარებენ, მარელისის საჯარო სკოლას ესტუმრებიან ლეღვნის სკოლის მეთორმეტეკლასელები; ხარაგაულის №2 საჯარო სკოლას - ლაშის, ხარაგაულის №3 საჯარო სკოლას - საღანძილის, კიცხის სკოლას - ხიდრის, ვარძიის სკოლას - წყალაფორეთის სკოლების მოსწავლეები.

საგამოცდო ცენტრი შექმნილია ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში.

„წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 233 მეთორმეტეკლასელი ჩააბარებს საატესტატო გამოცდებს, - ამბობს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **გია არევაძე,** - სკოლები ტექნიკურად აღჭურვილნი არიან გამოცდების ნორმალურად ჩასატარებლად. 90 ახალი კომპიუტერი გადაუნაწილდა ყველა სკოლას. შემოტანილია სკოლბოქსები ინტერნეტის ხარისხის გასაზრდელად.“

წელს 29 მოსწავლე ამთავრებს ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას. სკოლის დირექტორის, **ლენა აბაშიძის,** ინფორმაციით, საატესტატო გამოცდების ჩაბარების სურვილი 21-მა მეთორმეტეკლასელმა გამოთქვა. სკოლა აღჭურვილულია ტექნიკით. ახალი კომპიუტერები, ვიდეოთვალი და ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება დამონტაჟებულია. მზადყოფნაშია საგამოცდო ოთახი. დაცულია გამოცდების ჩატარების წესები. ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში ჩატარდა პრეტესტები იმის დასადგენად, რამდენად არიან მზად მოსწავლეები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. „ექვსი აბიტურიენტი გვყავს, - ამბობს ლენა აბაშიძე და გამოთქვამს იმედს, რომ აბიტურიენტებიც და ყველა კურსდამთავრებულიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს.

საატესტატო გამოცდებისთვის მზადება კულმინაციას აღწევს ბორითის საჯარო სკოლაშიც. სკოლის დირექტორის, **სერგო ლაბაძის,** ინფორმაციით, მასწავლებლები, კარგა ხანია, ამზადებენ მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებისთვის.

საგამოცდოდ მზადაა კიცხის საჯარო სკოლაც. „ჩვენს სკოლაში გამოცდის ჩასაბარებლად მოსწავლეები მოვლენ ხიდრის საჯარო სკოლიდან, - ამბობს კიცხის



სკოლის დირექტორი **თამარ წიწილაშვილი, -** ყველანაირად მზადყოფნაში ვართ. ჩვენი წლევანდელი 16 მეთორმეტეკლასელის გარდა სამი შარშანდელი კურსდამთავრებული აბარებს გამოცდებს. გვყავს ვერცხლის მედლის კანდიდატი ნინო გიორგაძე.

-ექვსი ახალგაზრდა დაამთავრებს წელს მარელისის საჯარო სკოლას. მარელისის საგამოცდო ცენტრში ხუთი კომპიუტერია საგამოცდოდ დამონტაჟებული, - ამბობს სკოლის დირექტორი **ვერა ოდიკაძე,** - ბავშვებს ჩაუტარდათ ტესტირებები, მასწავლებლები სხვადასხვა საგნებში აწარმოებდნენ გამოკითხვას. გამოცდისთვის სათანადო პირობები შევქმენით და ვიმედოვნებთ, რომ წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს ბავშვები. კარგია, გამოცდები რომ ტარდება, რადგან მოსწავლეები მეტად მონდომებულები არიან, მეცადინეობენ, მუშაობენ, იღრმავებენ ცოდნას. აბიტურის გაკვეთილებზე იმეორებენ წინა წლებში შესწავლილ მასალას. თუმცა, ჩემი აზრით, მათთვის უკეთესი იქნებოდა, შუალედი რომ ყოფილიყო გამოცდებს შორის.

დაველოდოთ შედეგებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

**ლ. გოგოლაძე**

# გამარტივებული ელექტრონული ტენდერებით შესყიდულია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 2012 წელს პირველი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 102 300 ლარი ღირებულების საწვავის შესყიდვის თაობაზე 9 იანვარს გამოაცხადა. ეს ტენდერი არ შედგა. ამის შემდეგ შესყიდვების სააგენტომ კონსოლიდირებული ტენდერი ჩაატარა, რომელშიც გამოვლინდა სამი მიმწოდებელი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთან.“

ჩაიშალა 16 იანვარს გამოცხადებული ტენდერი სოფ. ლაშეში ნუგზარ კალანდაძის სახელობის მემორიალის მოწყობის თაობაზეც. განმეორებით გამოცხადებული ტენდერის შედეგად კი შპს PROMETE-მ გაიმარჯვა. 23 იანვარს შპს PROMETE-ს დირექტორმა უშანგი სარალიძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გააფორმა ხელშეკრულება მემორიალის 8 390 ლარად მოსაწყობად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 38 ათასი ლარის ნაგვის ურნა შეიძინა შპს „ექსიმ ტრაფიკისაგან.“

თებერვალში დ. ხარაგაულში, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ოთახის სარემონტო სამუშაოები ი/მ „გიორგი დუგლაძემ“ 3 890 ლარად შეასრულა.

ს/ს „ავტოტრანსთან“ გაფორდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ეს ორგანიზაცია მთელი წლის განმავლობაში, ავტომანქანას, „ვაზ 21213,“ საჭიროების შემთხვევაში, შეაკეთებს.

24 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „იბერია ავტოსა“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის. ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის 34 ათას ლარად შეძენილია ავტომანქანა ჯიპი მიცუბიში პაჯერო.

შპს „არგადესთან“ 16 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების საგანია 31 500 ლარი ღირებულების ინერტული მასალის შეძენა. ამ ხელშეკრულების შესრულების ვადამ 27 სექტემბრამდე გადაიწია და პოლიციის შენობის ასაშენებლად საჭირო ინერტულ მასალას ეტაპობრივად შემოიტანენ.

შპს-მ NEWS STYLI ხარაგაულში გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები 1044 ლარად მოამზადა.

ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის ოფისი შპს „რონი“-მ 4 399 ლარად გაარემონტა. ამავე შენობის რემონტზე დამატებითი სამუშაოებისთვის მოგვიანებით ამ ორგანიზაციამ 2 360 ლარი მიიღო.

შპს-მ „ჯეოპ როუდი“ დ. ხარაგაულში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 1 389 ლარად მოამზადა.

დ. ხარაგაულში სამოქალაქო რეესტრთან მდებარე სკვერი 9 377 ლარად კეთილმოაწყო შპს-მ PROMETE, იგივე ორგანიზაცია 9 აპრილის სკვერს აწყობს 44 277 ლარად, ევგენი ხარაძის სახელობის სკვერი 28 370 ლარად მოაწყო შპს „კომბიტექმა.“

ი/მ „სტანგერი ხომასურიძემ“ საყრდენი კედლები 60 999 ლარად უნდა მოაწყოს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოსთვის 11 699 ლარის 6 პერსონალური კომპიუტერია შეძენილი შპს „კომლეიდისგან.“

დ. ხარაგაულში მშვიდობის, სოლომონ მეფის ქუჩის III და I ჩიხებში, 9 აპრილის ქუჩის I ჩიხში, გრიშაშვილის ქუჩაზე და ამავე ქუჩის პირველ შესახვევში, ელისო ჭიპაშვილის ქუჩაზე, წერეთლის ქუჩის II ჩიხში, ანზორ კიკნაძის ქუჩაზე გარე განათების მოსაწყობად გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩაიშალა. მესამედ გამოცხადებული ტენდერის შედეგად კი ი/მ „ვასილ არაბიძე“ ჩამოთვლილ ქუჩებზე გარე განათების სამუშაოებს 28 535 ლარად ასრულებს.

10 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ს/ს „იბერია 21“ დ. ხარაგაულში სპორტული კომპლექსის ეზოს 86 300 ლარად კეთილმოაწყობს.

შპს „რეალშენი“ 89 990 ლარს მიიღებს დ. ხარაგაულში ხელოვნურსაფარიანი მოედანის მოწყობისათვის.

დ. ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. 56ა კორპუსის საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთებაზე 136 900 ლარი დაიხარჯება და ამ სამუშაოებს შპს „კრისტალი“ შეასრულებს.

38 999 ლარის სასმელი წყლის მილებს შეიძენენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 33 სოფლისთვის შპს „4444“-სგან.

მოამზადა
**ნინო კაპანაძე**

# საქართველოს ბიუჯეტი იზრდება



საქართველოს მთავრობამ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტი მოამზადა, რომელსაც უახლოეს მომავალში პარლამენტი განიხილავს. პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსავლები 200 მილიონი ლარით იზრდება და, შესაბამისად, იცვლება საბიუჯეტო ხარჯებიც. მთავრობის განცხადებით, ბიუჯეტის ცვლილება ეკონომიკის ნავარაუდევზე მეტად ზრდამ გამოიწვია. ბიუჯეტში შესული ნამატი თანხები სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება.

საქართველოს ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილების შემდეგ მისი მოცულობა 8 მილიარდ ლარს დაახლოებით 100 მილიონი ლარით გადააჭარბებს. მაშინ როდესაც ევროპის ბევრ ქვეყანაში საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას ცდილობენ, საქართველოს მთავრობა მათ გაზრდას ეკონომიკის ნავარაუდევზე მეტად განვითარებას უმადლის.

2012 წლის ბიუჯეტის პარლამენტში დამტკიცებისას მთავრობა პროგნოზირებდა, რომ ეკონომიკა 5 პროცენტით გაიზრდებოდა, მიმდინარე წლის განვლილმა თვეებმა კი აჩვენა, რომ ზრდა ნავარაუდევზე 1 პროცენტით მეტია. ამის შესახებ საქრთველოს პრემიერ-მინისტრმა **ნიკა გილაურმა** მიმდინარე კვირაში გამართულ მთავრობის სხდომაზე ილაპარაკა:

„ბოლო კვარტალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაზრდა შეგვიძლია 5%-დან 6%-ზე. ეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზიც არის, თუმცა დეფლატორი მოდის 6%-დან 5%-ზე, ანუ ინფლაციის მაჩვენებელი მცირდება 6%-დან 5%-მდე. ჯამში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი განისაზღვრება 26 მლრდ 967 მლნ ლარით. დაახლოებით 27 მლრდ ლარზეა ლაპარაკი. დღევანდელი გაცვლითი კურსით რომ დავთვალოთ, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი გამოდის 3600 დოლარამდე. მინდა გავიხსენოთ, რომ ეს არის დაახლოებით 4-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2003 წელს. ეს იყო მაშინ დაახლოებით 900 დოლარი.“

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას ძირითადად ორი მიზეზი აქვს - ესაა დაგეგმილზე მეტი გრანტების მიღება და ლიცენზიების გაცემიდან მიღებული შემოსავლების მატება. ამ ტენდენციის გამო ბიუჯეტის ცვლილება ჯერ კიდევ რამდენიმე კვირით ადრე მომზადდა და პარლამენტს გადაეცა. მაგრამ მოულოდნელად მას დაემატა კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** სტუდენტებთან 4 მაისს ბათუმში გამართულ შეხვედრაზე გამოაცხადა:

„ვინაიდან სტუდენტებისთვის ბევრი ხარჯია სხვა და სტუდენტს ჯერაც არ აქვს შემოსავალი, ჩვენ გთავაზობთ ასევე სტუდენტთა ჯანმრთელობის დაზღვევას. სექტემბრიდან საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი იქნება დაზღვეული - ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები და პენსიონერები. ამ პროექტის პარალელურად, დაზღვეულთა შემდეგი კატეგორია სტუდენტობა იქნება.“

პრეზიდენტის ეს ინიციატივა კიდევ უფრო ზრდის ბიუჯეტის სოციალურ ხარჯებს, რაც მილიარდ-ნახევარ ლარს აღემატება. მიუხედავად პენსიებსა თუ ჯანმრთელობის დაზღვევაზე დახარჯული თანხების მოცულობისა, საპარლამენტო ოპოზიცია მაინც უკმაყოფილოა და უფრო მეტ სოციალურ ხარჯებს მოითხოვს.

მაგალითად, „ქართული დასის“ ლიდერი, დეპუტატი **ჯონდი ბაღათურია** დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი საქართველოს რეალობას არ შეესაბამება:

„ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არ ჰგავს იმ ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, რომლის ყოველი მეორე მოქალაქე სიღატაკის ზღვარს მიღმაა. ქვეყანაში 2 მილიონი ადამიანი შიმშილობს. აქ კი ჭარბობს გასართობი პროგრამების, შადრევნებისა და მსგავსი ტიპის ხარჯების დაფინანსება.“ ეს განცხადება ჯონდი ბაღათურიამ 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას გააკეთა.

ოპოზიციის წარმომადგენლები ახლაც უფრო მეტ სოციალურ ხარჯებს მოითხოვენ, მაგრამ ეკონომიკის ექსპერტთა ერთი ნაწილი საერთოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას ემხრობა. მათი აზრით, ბიუჯეტის ზრდა ზრდის სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ასევე სტაბილურობას. ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების თაობაზე 9 მაისს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ორგანიზებით გამართულ კონფერენციაზე ისაუბრეს. როგორც ცნობილია, ევროპის ბევრი ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის და ზოგიერთი მათგანი დეფოლტის საფრთხის წინაშეც დგას. ეს პრობლემები კი საბიუჯეტო ხარჯებისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზრდის შედეგია.

ბულგარეთში დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენლის დოქტორ **კრასენ სტანჩევის** განცხადებით, მართალია, საქართველო ევროკავშირისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მან არ უნდა გაიმეოროს ევროკავშირის ქვეყნების შეცდომები.

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის კონფერენციის კიდევ ერთ მონაწილეს, ავსტრიის ეკონომიკური ცენტრის წარმომადგენელს დოქტორ **ბარბარა კოლმს** საკუთარი ქვეყნის მაგალითი მოჰყავს. მისი განცხადებით, ავსტრიაში სახელმწიფო ხარჯების ზრდის გამო ქვეყნის მოსახლეობა იძულებულია წლის მანძილზე 210 დღე მხოლოდ იმისთვის იმუშაოს, რომ სახელმწიფოს მიერ დაკისრებული გადასახადები გაისტუმროს. ამ და სხვა მსგავსი შემთხვევებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას ქართველი ეკონომისტების ნაწილი ხარჯების შემცირებას ურჩევს. მათ შორისაა **ზურაბ ჯაფარიძეც:** „თუ საერთოდ რაღაც ხარჯები უნდა გაიღონ და არჩევანი არის გასაკეთებელი, ცხადია, ჯობია ისევ ინფრასტრუქტურაზე გაიღონ ხარჯები, ვიდრე ეს ხარჯები წავიდეს სოციალურ სფეროზე, რადგან ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები მეტ-ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციად ეკონომიკაში, მაშინ როდესაც სოციალური ხარჯები არის ფული, რომელიც გაიფლანგება და რეალური შედეგის მოტანა არ შეუძლია. თუმცა რაც უფრო ნაკლები იქნება მთავრობის ხარჯები, მით უფრო მაღალი იქნება ეკონომიკის ზრდა.“

საქართველოში, ამჟამინდელი ეკონომიკური ზრდის შედეგად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე 3600 აშშ დოლარს მიაღწია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს უფრო მაღალი ზრდა ესაჭიროება, რადგან ამჟამინდელი ტემპის პირობებში ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს საქართველო მხოლოდ 50 წლის შემდეგ მიაღწევს.

**კახა მჭედლიძე**
რადიო თავისუფლება

ხარაგაულის 2012 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ საკრებულოსთვის წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, „პირველი კვარტლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში შეადგინა 1010.5 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულია 1059.7 ათ. ლარის შემოსულობები, რაც დაგეგმილთან შედარებით 49.2 ათ. ლარით მეტია, ხოლო გასული 2011 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ შემოსულობებზე 399.3 ათ. ლარით მეტი (2011 წლის პირველ კვარტალში ფაქტიურად მიღებულია 660.4 ათ. ლარის შემოსულობები). შემოსულობების გეგმა შესრულდა 104.9 პროცენტით და შემოსულობების მატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით არის როგორც საკუთარი შემოსულობების ზრდა, ასევე სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნაწილის მიდინარე წლის პირველ კვარტალში განხორციელება (მ. შ. სპეცტრანსფერი სოფლის მხარდასაჭერი პროგრამებიდან 75.0 ათ. ლარი, და რეგიონალური განვითარების ფონდიდან 40.0 ათ. ლარი).

● ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2012 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 1143.1 ათ. ლარით, ფაქტიურად კი გაწეულია 935.7 ათ. ლარის ხარჯი.

# პირველ კვარტალში სოციალური დაცვისათვის, შარშანდელთან შედარებით, 29 200 ლარით მეტი გაიხარჯა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები დაგეგმილი 72.0 ათ. ლარიდან დაფინანსდა 70.3 ათ. ლარით; გამგეობის შესანახი ხარჯები 244.0 ათ. ლარიდან დაფინანსდა 242.1 ათ. ლარით. ეკონომია გაწეულია საოფისე ხარჯებში.

I კვარტალში აუდიტორული მომსახურებისთვის დაიხარჯა 3.5 ათ. ლარი, საარქივო მომსახურებისთვის 2.6 ათ. ლარი, მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურებისთვის 2.6 ათ. ლარი, თავდაცვის ხარჯები - 12.3 ათ. ლარით.

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურმა I კვარტალში გახარჯა 28.4 ათ. ლარი. შს სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურების დაფინანსებაზე გაწეულია 17.9 ათ. ლარის ხარჯი, აქედან 11.7 ათ. ლარი კავშირგაბმულობისა და კომუნალური მომსახურების ხარჯებში და 6.2 ათ. ლარი საწვავის შესაძენად.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების ხარჯებიდან გახარჯულია 31.4 ათ. ლარი; ხიდების, ბოგირების აშენება-შეკეთების ხარჯებიდან 20.9 ათ. ლარი, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის 1.7 ათ. ლარი.

ქუჩებისა და ტროტუარების მოწყობის ხარჯებიდან საყრდენი კედლების მოსაწყობად დახარჯულია 1.4 ათ. ლარი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად.

დასუფთავებისთვის I კვარტალში დახარჯულია 33.5 ათ. ლარი. სანაგვე ურნების შესაძენად დაგეგმილი 40.0 ათ. ლარიდან არც ერთი ლარი არ დახარჯულა, ვინაიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულებულა და როგორც საფინანსო სამსახურის უფროსი გულნარა ტოროშელიძე აღნიშნავს, ნაწილობრივ შესრულებული სამუშაოს დაფინანსება შეუძლებელია.

გარე განათების ექსპლუატაციისათვის დახარჯულია 20.8 ათ. ლარი.

პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობაზე გათვალისწინებული 63.1 ათ. ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 27.8 ათ. ლარი. აქედან სუბსიდირებაზე 17.1 ათ. ლარი, მიმდინარე წლის I კვარტალში სკვერების მოსაწყობად გამოყოფილ პროექტებზე 46.0 ათ. ლარიდან მხოლოდ 10.7 ათ. ლარია დახარჯული. აქედან სკვერების პროექტების შესადგენად 1.6 ათ. ლარი, ნუგზარ კალანდაძის სახელობის მონუმენტის დასადგმელად 4.1 ათ. ლარი, სამოქალაქო რეესტრთან არსებული სკვერის მოწყობაზე 5.0 ათ. ლარი.

● საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები დაგეგმილი 18.4 ათ. ლარის ნაცვლად გაწეულია 15.3 ათ. ლარი. აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია ჯანდაცვის სამსახურის მიერ I კვარტალში განსახორციელებელი პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ დაუსრულებლობით.

2012 წ. I კვარტალში სპორტსკოლა დაფინანსდა 21.3 ათ. ლარით; საფეხბურთო გუნდი „ჩხერიმელა“ 31.7 ათ. ლარით; სპორტული მოედნების მოსაწყობად დახარჯულია 5.5 ათ. ლარი.

სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასასრულებლად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი და ათვისებულია 39.2 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებიდან დახარჯულია 70.3. ათ. ლარი.

I კვარტალში სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 12.3 ათ. ლარით, კულტურის ცენტრი 26.8 ათ. ლარით, ცენტრალური ბიბლიოთეკა 18.5 ათ. ლარით, ისტორიული მუზეუმი 16.5 ათ. ლარით, ხალხური შემოქმედების სახლი 6.0 ათ. ლარით; სკოლამდელი დაწესებულებები 63.6 ათ. ლარით, ბორის საჯარო სკოლა (ინტერნატი) 15.1 ათ. ლარით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 13.4 ათ. ლარით; გაზეთი „ახალი ხარაგაული“ 13.0 ათ. ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივ საქმიანობაზე დახარჯული 5.1 ათ. ლარიდან 5.0 ათ. ლარი მიიმართა ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე. ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად I კვარტალში მხოლოდ 0.1 ათ. ლარია დახარჯული.

● სოციალური დაცვა I კვარტლის ბიუჯეტით განისაზღვრა 71.9 ათ. ლარით და ფაქტიურად დაიხარჯა 64.9 ათ. ლარი. ეს, გასული 2011 წლის I კვარტალთან შედარებით, 29.2 ათ. ლარით მეტია. გასულ წელს ამ კუთხით მხოლოდ 35.7 ათ. ლარია გაცემული. ძირითადად გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მკურნალობისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხარჯები და ასევე გაზრდილია უფასო სასადილოს დაფინანსების ხარჯები.

ზემოთაღნიშნული 64.9 ათ. ლარიდან სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობასა და დახმარებაზე დაიხარჯა 49.0 ათ. ლარი ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდზე 26.4 ათ. ლარით მეტი; ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებისთვის 0.7 ათ. ლარი; უფასო სასადილოს დასაფინანსებლად 14.1 ათ. ლარი; ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 0.5 ათ. ლარი; სტიქიით დაზარალებული სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად დახარჯულია 0.6 ათ. ლარი.

● ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის I კვარტალში გაწეული 935.7 ათ. ლარიდან შრომის ანზღაურებაზე დახარჯულია 204.6 ათ. ლარი (საკრებულოსა და გამგეობის შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი I კვარტლის ბიუჯეტის ხარჯებში შეადგენს 18.6%-ს).

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 15.6 ათ. ლარი, მივლინებების ასანაზღაურებლად 3.5 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის 38.9 ათ. ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე 2.6 ათ. ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე გაწეულია 41.4 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად 31.6 ათ. ლარი. სუბსიდირებაზე მიმართულია 313.6 ათ. ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებაზე 80.2 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 203.7 ათ. ლარი.

მიმდინარე წლის I კვარტალში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 27.2 ათ. ლარი აქედან გზების გათოვლასა და დამეწყრილი გზების გასაწმენდად საჭირო საწვავის შესაძენად 16.4 ათ. ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად 0.8 ათ. ლარი და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის დროს დაღუპული მეომრის ნუგზარ კალანდაძის ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალის დასადგმელად 10.0 ათ. ლარი.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი I კვარტლის ბიუჯეტის ხარჯებში შეადგენს 24.8%-ს. გამგეობიდან საკრებულოში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ხანგრძლივი ზამთრისა და უამინდობის გამო ვერ მოხერხდა დაგეგმილი სამუშაოების შესრულება.

მოამზადა
**ლ. გოგოლაძე**

# ოტია იოსელიანი - მოვლენა ქართულ მწერლობაში

**„პატარა ბიჭი დაიბადა 1930 წლის 3 ივანობისთვეს,“ - ხის სახლის ერთ კუთხეში ამოტვიფრული მხოლოდ ეს სიტყვები დარჩა მამის სახსოვრად დიდებულ მწერალს, დრამატურგს, განსაკუთრებულ, უნიკალურ, შეუდარებელ პიროვნებას და ნიჭიერ შემოქმედს ოტია იოსელიანს. იგი თაობათა მეხსიერებაში ლეგენდად დარჩება.**

ოტია იოსელიანის შემოქმედების თაყვანისმცემლებით აივსო 15 მაისს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზი. მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შექმნილი არაჩვეულებრივი სპექტაკლით წარდგა მაყურებლის წინაშე ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ერთი მსახიობის სახალხო ლიტერატურული თეატრი.

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის რეჟისორმა, სცენარისტმა და მსახიობმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ შექმნა ლიტერატურული სპექტაკლი „ჩვენი ოტია,“ - აღნიშნა სპექტაკლის დაწყებამდე თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელმა **ცისანა ქოჩეჩაშვილმა,** - ოტია იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ მასზე არაფერი დაწერილა. ამიტომ ვთხოვეთ ჩვენს ერთგულ მეგობარს, რომელმაც არაერთხელ გვიჩვენა თავისი ხელოვნება, ამ სცენაზე წარმოედგინა სპექტაკლი.“

...და მაყურებლის წინაშე გაცოცხლდა ოტია იოსელიანის მძიმე ბავშვობის, სიჭაბუკის, საინტერესო სტუდენტობის, მწერლობის დიდ ასპარეზზე გამოსვლისა და ცხოვრების შთამბეჭდავი ეპიზოდები. ადრე დაობლებულს ხშირად უწევდა ოჯახში შრომა. პატარაობიდანვე შეუყვარდა მიწა და სიცოცხლის ბოლომდე არ მოშორებია მშობლიურ ფესვებს, საკუთარი ხელით აგებულ სახლს. იგი განსაკუთრებულ ერთგულებას გამოხატავდა ქართული ეროვნული ტრადიციების მიმართ და ასეთივე ერთგულებას მოითხოვდა სხვებისგანაც.

ოტია იოსელიანის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას მალევე მოჰყვა დიდი გამოხმაურება და აღიარება. თანდათან ძლიერდებოდა ინტერესი და სიყვარული მისი საბავშვო მოთხრობების, რომანების, პიესებისა თუ სცენარებისადმი.

მწერალს თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ყველაფრისადმი. საოცარია სიყვარულის მისეული „განმარტება,“ რომელიც იზა ვეფხვაძემ მაყურებელს ოტია იოსელიანის რამდენიმე ნაკლებადცნობილი ლექსით გააცნო.

სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი მწერალი სამშობლოს ბედზე წუხდა. სამართლიანი პიროვნება და ღრმა შინაარსის მქონე ნაწარმოებების ავტორი - ასე დარჩება იგი საუკუნეების მანძილზე თაობათა ხსოვნაში.

იზა ვეფხვაძის ლიტერატურული სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი გაეცნო კინორეჟისორ გივი ვეფხვაძის დოკუმენტურ ფილმს ოტია იოსელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბსა და წყალტუბოში, ხელოვნების ქუჩაზე, მცხოვრები მწერლის ყოველდღიურობა, მის მიერ მოყოლილი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, განუმეორებელი ხმა და ხასიათი ფირზე სამარადისოდ აღბეჭდილა.

ნანახმა ძლიერი შთაბეჭდილება, საოცრად დადებითი ემოცია და მუხტი შექმნა დარბაზში. როგორც მსახიობმა **ჯემალ მელქაძემ** აღნიშნა, თითქოს წასვლა აღარავის უნდოდა, ყველას სურდა მადლობა ეთქვა შესანიშნავი საღამოს ავტორისადმი და მოწიწება გამოეხატა დიდი მწერლისადმი...

...პირველობა მაინც ოტია იოსელიანის შვილიშვილს, **ზვიად შვანგირაძეს** ერგო. მან იზა ვეფხვაძეს ბაბუას სიცოცხლეში გამოცემული უკანასკნელი წიგნი უსახსოვრა და აღნიშნა, რომ იზა ვეფხვაძის შესანიშნავ შემოქმედებას ჰყავდა სიღრმისეულად მოაზროვნე მსმენელი, რომელმაც ღონისძიება უფრო შთამბეჭდავი გახადა.

ოტია იოსელიანის მეგობარმა, დიდმა მხატვარმა, თბილისის გერბის ავტორმა **ემირ ბურჯანაძემ** მწერალთან პირველი შეხვედრის დღე გაიხსენა. მან დამსწრეთ უამბო, თუ როგორ ანდო მწერალმა თავისი წიგნის, „შავი და ცისფერი მდინარე,“ მხატვრობა, როგორ შექმნა მისი პორტრეტი და როგორ გაგრძელდა მათი მეგობრობა. „ოტია,



როგორც ნიჭიერი კაცი, მოვლენა იყო ქართულ მწერლობაში, - აღნიშნა ემირ ბურჯანაძემ, - მის პორტრეტზე მუშაობა ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია.“

40 წლის წინ მურმან ლებანიძის ოჯახში გაიცნო ოტია იოსელიანი მწერალმა და ჟურნალისტმა **ვანო ჯაფარიძემ.** მისთვის სამაგალითოა ოტია იოსელიანის ცხოვრება და თავს ბედნიერ ადამიანად თვლის, რომ სიკვდილის წინ მოინახულა „მართალი, ფენომენალური და საქართველოს მიწის სიყვარულში დამაშვრალი კაცი.“ „გულდასაწყვეტია, რომ ოტია იოსელიანის 80 წლის იუბილეზე თბილისიდან მხოლოდ ხუთი კაცი ჩავედით,“ - აღნიშნა ვანო ჯაფარიძემ და დიდი მადლობა გადაუხადა იზა ვეფხვაძეს ოტია იოსელიანის ღვაწლის ასე წარმოჩენისათვის. მან თავისი წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ უსახსოვრა ლიტერატურულ თეატრს და ისურვა, რომ ამ წიგნის ბინადართა ცხოვრება თეატრის მომავალ სპექტაკლში იხილოს.

წყალტუბოს მღვიმის აღმომჩენმა, ოტია იოსელიანის მეგობარმა **ჯუმბერ ჯიშკარიანმა** განუმეორებელი უწოდა საღამოს და სპექტაკლს. მან ის ემოციური ეპიზოდი გაიხსენა, როცა დიდი მწერალი მის მიერ აღმოჩენილ მღვიმეში შეიყვანა. იმ მღვიმის დარბაზს ოტია იოსელიანის სახელი ჰქვია.

თბილისის თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებისთვის (სკოლის ხელმძღვანელი მამა მირიან (სამხარაძე), საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა სპექტაკლსა და ფილმში მოთხრობილი ოტია იოსელიანის ცხოვრება. მოსწავლეებს სურვილი გაუჩნდათ, უფრო ღრმად გაეცნონ მწერლის ყველა ნაწარმოებს.

სიცოცხლის ბოლო დღეებში საავადმყოფოში, სადაც ოტია იოსელიანს მკურნალობდნენ, ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი მოხდა. ექიმი ნატო გელაშვილი, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა დიდებულ მწერალთან შეხვედრასა და საუბარზე, ყველაზე მძიმე წუთებში აღმოჩნდა მის გვერდით. „სულ ვოცნებობდი ოტია იოსელიანთან შეხვედრაზე, მაგრამ ამავე დროს ძალიან მეშინოდა. ვფიქრობდი, რომ ჩემს ქართულს დაიწუნებდა, - განდო დარბაზში შეკრებილთ თავისი ემოცია **ნატო გელაშვილმა,** - ის იყო განსაკუთრებული მოვლენა არამარტო ქართულ მწერლობაში. სიტყვა, რაც მე მას ვუთხარი, იყო გულწრფელი ემოციით გამოწვეული, - ვეამბორე ხელზე და მადლობა ვუთხარი ყველაფრისათვის. მასთან პირველი და უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ გამიძლიერდა სოფელში დაბრუნების სურვილი და თუ ეს ნაბიჯი გადავდგი, ბატონი ოტიას დამსახურება იქნება.“

შეუდარებელი პიროვნება - ასე დაახასიათა კინორეჟისორმა **გივი ვეფხვაძემ** ოტია იოსელიანი და ხაზი გაუსვა ლიტერატურული სპექტაკლის ავტორის, იზა ვეფხვაძის, გამორჩეულ ინტელექტს, სიყვარულს და დაინტერესებას გამორჩენილი ადამიანების ცხოვრებისადმი.

ოტია იოსელიანის მეგობარმა **დურმიშხან ყიფიანმა,** ფერეიდნელ ქართველებთან ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე **გიორგი ალავერდაშვილმა,** ცნობილი ხარაგაულელის, ხარაგაულის კოლორიტის, ახმედ გოგოლაძის ვაჟმა **ანდრო გოგოლაძემ** დაუვიწყარი და შეუდარებელი უწოდეს სპექტაკლზე მიღებულ შთაბეჭდილებას.

...შუაღამის მიუხედავად, დარბაზში მყოფთ კიდევ სურდათ ერთმანეთისთვის საკუთარი განცდებისა და ემოციების გაზიარება. თითქოს ოტია იოსელიანის სულიც იქ იყო და თავისი მკაცრი გამოხედვით გვახსენებდა: „არ ვიცი, ალბათ, ადრე თუ გვიან, ყველა თავისი გზით, ოფლითა და სისხლით მიდის თავის მიწასთან.“

**ნინო კაკანაძე**

# სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გაიმარჯვეს

ხარაგაულის №2, წყალაფორეთისა და მარელისის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა **რევაზ დეკანოსიძემ, სოფიკო ქოჩიაშვილმა** და **ბექა გოგალაძემ** 2012 წლის მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებისთვის საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დიპლომები დაიმსახურეს.

რევაზ დეკანოსიძემ ფოლკლორის სექციაში, სოფიკო ქოჩიაშვილმა ფრანგულ ენაში, ხოლო ბექა გოგალაძემ საერთაშორისო ურთიერთობების სექციაში დაიცვეს წარმატებით თავიანთი ნაშრომები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან 66-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასკვნით ტურში სულ 95 ნაშრომი გაიგზავნა. მათ შორის, ქართული ენის სექციაში - 10, ლიტერატურის სექციაში - 12, ფოლკლორის სექციაში - 8, შემოქმედ მოსწავლეთა სექციაში - 3, რუსული ენის სექციაში - 6, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების სექციებში - 10, მათემატიკის სექციაში - 4, საერთაშორისო ურთიერთობების - 1, საქართველოს ისტორიის - 11, ეთნოგრაფიის - 8, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის - 12, ქიმიის - 4, ფიზიკის - 1, გეოგრაფიის - 3, ხელოვნებათმცოდნეობის სექციაში - 2 ნაშრომი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლების 87 მოსწავლის ნაშრომი საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სიგელებით დაჯილდოვდა; 9 აქტიურ პედაგოგს მადლობის ფურცელი გადაეცა.

2012 წლის მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში წარმატებით მონაწილეობისთვის ეროვნული სასახლის სიგელებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან დაჯილდოვდნენ შემდეგი მოსწავლეები:

### ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის (აგრობიოტექნოლოგია) სექცია:

**მარიამ ხიჯაკაძე** (ვარძია, VIII კლ.);
**თეონა ღამბაშიძე** (წყალაფორეთი, X კლ.);
**ნინო გელაშვილი,**
**ნათია გელაშვილი** (ნადაბური, X კლ.);
**გულიკო კურტანიძე** (ხუნევი, VIII კლ.);
**სოფო გამცემლიძე** (ვაშლევი, IX კლ.);
**მარიამ აბულაძე** (ბორი, X კლ.);

### ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის (ბიოლოგია) სექცია:

**ხვიჩა ჭყოიძე** (მარელისი, X კლ.);
**მარიამ თხელიძე** (ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა, IX კლ.);
**თეონა ჭანკვეტაძე** (წყალაფორეთი, XII კლ.);
**მარიამ დევდარიანი** (ლელვანი, IX კლ.);
**ვახტანგ აბაშიძე** (ვერტყვიჭალა, IX კლ.);
**თათია ჭყოიძე** (მარელისი, X კლ.);
**ნინო ჭყოიძე** (მარელისი, X კლ.);

### უცხო ენის (რუსული) სექცია

**თამარ ქალიაშვილი** (ვახანი, XI კლ.);

### გეოგრაფია-გეოლოგიის სექცია

**მირანდა ბუცხრიკიძე** (ღორეშა, IX კლ.);
**თამარ მაღრაძე** (IX კლ.);

### ქართული ენის სექცია

**სოფო ხიჯაკაძე** (ვარძია, XI კლ.);
**ნელი ლაცაბიძე** (მოლითი, IX კლ.);
**ლაშა რაზმაძე** (ვერტყვიჭალა, IX კლ.);
**თამთა კიკნაძე** (ვახანი, XI კლ.);
**ლაური ღონღაძე** (ვახანი, XI კლ.);
**ანა გიორგაძე** (ბორი, X კლ.);

### მათემატიკის სექცია

**ავთო შერგელაშვილი** (ბაზალეთი, IX კლ.);
**ჟანა ღონღაძე** (ვახანი, X კლ.);
**ლაური ღონღაძე** (ვახანი, XI კლ.);

### უცხო ენის (ინგლისური) სექცია

**რევაზ დეკანოსიძე** (ხარაგაულის №2 საჯარო სკოლა, XI კლ.);
**თამარ ჩხიკვაძე** (ბაზალეთი, IX კლ.);
**ქეთევან ცხადაძე** (მოლითი, VIII კლ.);
**მარიამ კიკნაძე** (საღანძილე, IX კლ.);

### შემოქმედ მოსწავლეთა სექცია

**მირანდა ბუცხრიკიძე** (ღორეშა, IX კლ.);
**თამარ ჩხიკვაძე** (ბაზალეთი, IX კლ.);
**ნათია ხიჯაკაძე** (ვარძია, XII კლ.);

### უცხო ენის (გერმანული) სექცია

**სოფო შველიძე** (ხევი, VIII კლ.);
**მარიამ წიქარიშვილი** (ბორითი, IX კლ.);
**ნელი ლაცაბიძე** (მოლითი, IX კლ.);
**მარიამ გრიგალაშვილი** (ხევი, VIII კლ.);

### საქართველოს ისტორიის სექცია

**ჟანა ღონღაძე** (ვახანი, X კლ.);
**ანა გოლუბიანი** (ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა, XI კლ.);
**თამარ ჩხიკვაძე** (ბაზალეთი, IX კლ.);
**ნუნუ ბაკურაძე** (საღანძილე, X კლ.);
**ეთერი მაღრაძე** (მარელისი, XI კლ.);
**ნუგზარ მაჭავარიანი** (ლაშე, VIII კლ.);
**თამარ ტალახაძე** (მოლითი, XI კლ.);
**თამარ შარიქაძე** (ლელვანი, X კლ.);
**მზუკა წიქარიშვილი** (ვაშლევი, VIII კლ.);
**მზექალა ბერაძე** (ხიდარი, XII კლ.);
**თინათინ ხეცაძე** (ხიდარი, XII კლ.);

### ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის (ქიმია) სექცია

**მირანდა ხიჯაკაძე** (წყალაფორეთი, X კლ.);
**ნუნუკა ბარბაქაძე** (ბორითი, XI კლ.);
**შორენა სალუქვაძე** (ლაშე, X კლ.);
**თამარ შარიქაძე** (ლელვანი, X კლ.);

### ქართული ლიტერატურის სექცია

**ნინო ქველიაშვილი** (ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა, XI კლ.);
**ანა გოლუბიანი** (ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა, XI კლ.);
**ქეთევან სხილაძე** (ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა, X კლ.);
**კახი სახვაძე** (უბისა, VIII კლ.);
**თამარ ქალიაშვილი** (ვახანი, XI კლ.);
**ნანა მაჭავარიანი** (ბორი, X კლ.);
**თინათინ კურტანიძე** (ბორითი, XI კლ.);
**მარიამ კიკნაძე** (საღანძილე, IX კლ.);
**ეკა ყრუაშვილი** (საღანძილე, X კლ.);
**ამირან ლომიძე** (ვერტყვიჭალა, XI კლ.);
**ნინო მჭედლიძე** (მოლითი, XI კლ.);

### ფოლკლორის სექცია

**მარინე გოგოლაძე** (ვერტყვიჭალა, VIII კლ.);
**მიხეილ გოგოლაძე** (ზვარე, IX კლ.);
**გიორგი ლომიძე** (ვერტყვიჭალა, X კლ.);
**გიორგი რუსაძე** (ვაშლევი, VIII კლ.);
**თამაზ ბარბაქაძე** (ვაშლევი, IX კლ.);
**ლელა კოჩაძე** (ვარძია, X კლ.);

### უცხო ენის (ფრანგული) სექცია

**ნუნუ ბაკურაძე** (საღანძილე, X კლ.);

### ხელოვნებათმცოდნეობის სექცია

**ანა ოქრომჭედლიძე** (ბორი, X კლ.);

### ეთნოგრაფიის სექცია

**ჯაბა ხაჩიძე** (ხევი, IX კლ.);
**შალვა ხიჯაკაძე** (ვარძია, IX კლ.);
**თამარ ხიჯაკაძე** (ვარძია, VIII კლ.);
**ნესტან ბააკაშვილი** (ვარძია, VIII კლ.);
**თამუნა ლომიძე** (ვერტყვიჭალა, XI კლ.);
**ლანა ჩადუნელი** (ვერტყვიჭალა, XI კლ.);
**ნათია ცხადაძე** (ვახანი, XI კლ.);
**სოფო არევაძე** (ვახანი, XI კლ.);
**ეთერი მაღრაძე** (მარელისი, XI კლ.);
**თინათინ მაღრაძე** (მარელისი, XII კლ.);
**ეკა ორთოიძე** (ხარაგაულის №3 საჯარო სკოლა, XI კლ.).

ვულოცავთ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ მასწავლებლებსა და მშობლებს ამ წარმატებას.





# ხარაგაულის მუზეუმში მუზეუმების ღამე აღინიშნა

ხარაგაულის ისტორიულ მეუზეუმში (დირექტორი **ნინო დიდიძე**) უკვე მეორე წელია აღინიშნება მუზეუმების გაერთიანების საერთაშორისო კომიტეტის (ICOM) მიერ დაწესებული დღე. 15 მაისს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას ყველა მუზეუმი მისთვის უჩვეულო დროს 7-დან 12 საათამდე სრულიად უსასყიდლოდ კარს უღებს დამთვალიერებლებს. ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას დამთვალიერებელთა მოსაზიდად მართავენ. წელს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ამ ღონისძიებამ მხატვრული სახე მიიღო. გალერეაში გამოფენილი სურათების პერსონაჟები სკოლის მოსწავლეებმა გააცოცხლეს. მოსწავლეები ექსპონატებზე აღბეჭდილი ტიპაჟების მიხედვით შეირჩა. საკმაოდ ლამაზი საღამო გამოვიდა. სასიამოვნო გარემოს კიდევ უფრო ალამაზებდა მუსიკა.

მუზეუმში გაიმართა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ბესო ლაცაბიძის ნახატების გამოფენა.

მუზეუმი მის შემოქმედებას ერთ თვეს უმასპინძლებს.

**სოფო ჭიპაშვილი**

---

შვილები: ნანი, ომარი, და მერი, სიძე ირაკლი შეყელაძე, რძლები: ნატო, ლიანა, სოფო, ნინო, მაკა, ნონა, შვილიშვილები: ლაშა, დათო, ზურა, შალვა, შვილთაშვილები: მარიამი, ანანო, ნიკოლოზი, მარიამი, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან დავითის ძე ტაბატაძე**

დაიკრძალა 17 მაისს, ხარაგაულში.

---

შვილიშვილი გიორგი ალექსიძე, რძლები: ნაზი ქავთარია, მაკა შარიქაძე, შვილთაშვილები: სალომე, ელენე, მარიამ ალექსიძეები, დები: ნელი, გიული კიკნაძეები, დისშვილები: ჯუნა მაჭავარიანი, ხათუნა გელაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერი ბიქტორის ასული კიკნაძე**

დაიკრძალა 17 მაისს სოფელ სარგვეშში.

---

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე სკოლის პედაგოგს მანანა ლომიძეს დედამთილის

**გულნარა ლომიძის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ გოგოლაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ცოტნე სიმონის ძე ფოფხაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს ,,გიორგის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინელი ჭიპაშვილს დედის

**ვენერა სებისკვერაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვეტერანთა კავშირი დიდ სინანულს გამოვთქვამთ უაღრესად კეთილშობილი, საქმიანი და სალმიანი პიროვნების, სამაჩაბლოს ბრძოლების მონაწილის,

**ცოტნე ფოფხაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს მწუხარებაში.

---

ნოდარ და დავით მღებრიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ეთერ კიკნაძე-ალექსიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ხარაგაულის წმ. ანდრიაპირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ნატო ციცქიშვილს მამათილის

**მურმან ტაბატაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სს ,,იმერის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერი კიკნაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქეთინო, ირმა, ვახტანგ თხელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეზობელი

**მურმან დავითის ძე ტაბატაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

თემური, ქეთინო ალექსიძეები, გოჩა ახობაძე, ეკა ტურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

**ეთერი კიკნაძე-ალექსიძისა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეზობლები რეზო მაჭარაშვილი, ირაკლი შარიქაძე, ნინო ფერაძე, პაატა ლურსმანაშვილი, ალეკო ბლუაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

**ეთერი კიკნაძე-ალექსიძისა**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ხარაგაულის რაიონული გაზეთისა და სტამბის 80-90-იანი წლების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინელი ჭიპაშვილს დედის

**ვენერა სებისკვერაძის**

გარდაცვალების გამო.

---

# ჩვენო მედეა, გაიხარე!

არიან ადამიანები, რომლებიც თუნდაც უბრალო ნაბიჯით მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ ღირსება, ინტელექტი, ნიჭი, უნარი, ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისება. სწორედ ასეთ ადამიანებს მიეკუთვნება მედეა ლომსაძე, რომელმაც პედაგოგიურ სამყაროში შესასვლელი ჯადოსნური გასაღები ჩვენს სკოლაში აიღო. ახლაც თვალწინ გვიდგას სამასწავლებლოში მოკრძალებით შემოსული მომხიბლავი, კეკლუცი, სიფრიფანა, მაგრამ დინჯი, თავდაჯერებული და ენერგიული გოგონა, რომელმაც ჟურნალის პირველი შეხებისთანავე ერთნაირად მოაჯადოვა მოსწავლეები, მათი მშობლები და უფროსი თაობის კოლეგები, რაც მაშინ იშვიათობა იყო.

მან დიდი სიყვარული, პატივისცემა და მადლობა დაიმსახურა. ამიტომაც იყო, სკოლიდან წასვლის შემდეგ მისი ყოველი ნაბიჯი გვაინტერესებდა, წარმატებები გვიხაროდა და ყოველთვის შვილივით გვიყვარდა, ვოცნებობდით მის ბედნიერებაზე. და აი, ეს დღეც დადგა. ჩვენი მედიკო გულისსწორს შეხვდა.

ვულოცავთ მას ბედნიერებას. ვუსურვებთ დათო შარიქაძესთან ერთად ბედნიერი ოჯახის შექმნას, გამრავლებას, სიხარულს, ცხოვრებით ტკბობას. ჩვენო მედეა, გაიხარე! შენ ამას იმსახურებ.

**ყოფილი კოლეგები და დედობილი ფარცხნალის სკოლიდან**

---

ვულოცავთ დაბადების დღეს კეთილშობილ, მუდამ ადამიანთა კეთილდღეობაზე მზრუნველ, საუკეთესო პიროვნებას და ერთგულ ქალბატონს **ულინა კაციტაძეს**. ვუსურვებთ მას ღვთის წყალობას, გახარებას თავის შთამომავლობასთან ერთად. დაე, დიდხანს ეშრომოს და ელვაწოს ჩვენს გვერდით ენერგიულ და გულკეთილ ქალბატონს.

**ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ თანამშრომლები**

* * *

ვულოცავთ გაბედნიერებას კეთილშობილ ქალბატონს **მედეა ლომსაძესა** და მის მეუღლეს **დავით შარიქაძეს.** ვუსურვებთ ახლადაქორწინებულებს ოჯახურ კეთილდღეობას, ულევ სიხარულს და სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოკლებოდეს მათ ოჯახს.

**გულნარა ჯინჭარაძე, მადონა მურადოვა**

* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ **გურამ ჭიპაშვილს** და ბატონ **ჯემალ ჩხეიძეს.** ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს.

**სს „იმერის“ თანამშრომლები**


## ხარაგაულის მოსახლეობის საყურადღებოდ!

შპს ,,ადითი“ ხარაგაულის საავადმყოფოში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კაბინეტი, რომელიც დამატებით ახორციელებს ,,ირაოში“ დაზღვეულ რკინიგზელთა და მათი ოჯახის წევრთა მომსახურებას, პოლისში არსებული მითითებების შესაბამისად (გადაუდებელი 100%-ით, ხოლო გეგმიურ, თერაპიულ და ქირურგიულ მომსახურებას 25%-ით დააფინანსებს კომპანია).

მომსახურებას გაგიწევთ სტომატოლოგი მაია ქასრაშვილი.

**შპს „ადითი“ ხარაგაულის ადმინისტრაცია**


# ელგუჯა სებისკვერაძის გახსენება



2012 წლის 15 მაისს 9 წელი შეგისრულდა, რაც შენი ლამაზი ოჯახიდან წახვედი. დაგვიტოვე შენძე ფიქრი და მონატრება. შენ ხომ დიდი მშრომელი კაცი იყავი, სულ დაფუსფუსებდი შენს დიდი ოჯახს, იყავი სტუმართმოყვარე, მთელი სანათესაოს მოსიყვარულე, შენი ხარაგაულის სილამაზით გინდოდა დამტკბარიყავი. 45 წლის მანძილზე ალამაზებდი ხარაგაულის ლამაზ კუთხეს, კულტურისა და დასვენების პარკს, რომელსაც 2003 წელს შენი სახელი მიაკუთვნეს. შენს დიდ ოჯახს 11 შვილიშვილი და 5 შვილთაშვილი ჰყავს.

დღეს შენი საფიცარი ლაშა 16 წლისაა. მას კიდევ ორი ძმა ჰყავს, შენი მოსახელე ელგუჯა გრიგოლიჩი და პატარა გიორგი. შენს ოჯახში ისევ ის სითბო, მხიარულება, სტუმართმოყვარეობა და სიყვარულია, მხოლოდ შენს მიმართ გვაქვს მონატრება და მოგონებები. ყოველ აღდგომას შენი დიდი ოჯახი შენი დის ოჯახთან და შენს ბიძაშვილებთან ერთად ვიკრიბებით შენ საფლავზე და ვიხსენებთ შენს მიერ შრომაში განვლილ ლამაზ წლებს.

**შენი დიდი ოჯახი**

---

**დ. ხარაგაული**

**18.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +28$^0$C, ღამე +17$^0$C;
**19.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +30$^0$C, ღამე +17$^0$C;
**20.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +29$^0$C, ღამე +18$^0$C;
**21.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +27$^0$C, ღამე +17$^0$C;
**22.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +24$^0$C, ღამე +17$^0$C.
**23.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +26$^0$C, ღამე +14$^0$C;

**კიცხი**

**18.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +29$^0$C, ღამე +18$^0$C;
**19.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +30$^0$C, ღამე +18$^0$C;
**20.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +29$^0$C, ღამე +19$^0$C;
**21.05** - მოღრუბლულობა ნალექით, დღე +27$^0$C, ღამე +18$^0$C.
**22.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +24$^0$C, ღამე +17$^0$C;
**23.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +26$^0$C, ღამე +15$^0$C.

**ბორითი**

**18.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +27$^0$C, ღამე +16$^0$C;
**19.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +29$^0$C, ღამე +16$^0$C;
**20.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +28$^0$C, ღამე +17$^0$C;
**21.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +27$^0$C, ღამე +16$^0$C;
**22.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +25$^0$C, ღამე +16$^0$C;
**23.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +27$^0$C, ღამე +11$^0$C.

**მოლითი**

**18.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +25$^0$C, ღამე +14$^0$C;
**19.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღე +28$^0$C, ღამე +14$^0$C;
**20.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +26$^0$C, ღამე +15$^0$C;
**21.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +25$^0$C, ღამე +14$^0$C.
**22.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +23$^0$C, ღამე +14$^0$C;
**23.05** - ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე ნალექით, დღე +25$^0$C, ღამე +9$^0$C.

# ლია მარგველაშვილი-ბუხნიკაშვილის ხსოვნას



როგორც შენს ტკივილს არ მოეძებნა წამალი, ისევე იმ ტკივილს არ მოეძებნება სალბუნი, რაც შენ დაუტოვე შენს ოჯახს, შენს გამწარებულ დედას, შენზე მზრუნველ ძმას, რძალს და დას.

ძნელია ილაპარაკო წარსულში ისეთ ადამიანზე, როგორიც შენ იყავი, ჩვენო ლია. თავზარი დაგვცა შენმა ავადმყოფობამ, როცა გამოიკვეთა შენი უკურნებელი სენით დაავადება. სიტყვები არ გვყოფნის იმ მწუხარების გამოსახატავად, რასაც განვიცდით შენი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლის გამო.

მკრეხელობაში ნუ ჩამეთვლება, მაგრამ უფალმა შენი სული ვნების კვირაში მიიბარა, რითაც გვჯერა, რომ იმქვეყნად სასუფეველი დაგიმკვიდრა.

ყოველთვის ოჯახზე მოფიქრალს, მზრუნველ დედას, შენი სუსტი მხრებით, მეუღლესთან ერთად ეზიდებოდი ოჯახის მძიმე ჭაპანს. მიუხედავად ამ დუხჭირი ცხოვრებისა, შენ ყოველთვის ნახულობდი გამოსავალს, რომ შენი ლამაზი და ნიჭიერი შვილები ნინო, ნანა, მაია სწორ გზაზე დაგეყენებინა. შედეგმაც არ გიმტყუნა, სამივე განათლებული და დაოჯახებული, კეთილ გზაზე დატოვე. შენ კი სიცოცხლეს მოწყურებული 52 წლის ასაკში წახვედი ამ ქვეყნიდან.

დიდია ჩვენი სევდა და მწუხარება შენი დაკარგვის გამო. ყოველთვის გავიხსენებთ ჩვენი თანამშრომლობის წლებს. გავიხსენებთ შენს მოკრძალებულ ღიმილს, ნაზ გამოხედვას და საქმიანობას.

ორმოცი დღე გავიდა, რაც იმქვეყნად გადასახლდი. ჩვენ, წყალსადენის ლაბორატორიის ყოფილი თანამშრომლები: დარეჯან ოქრომჭედლიძე, მარინა კამკამიძე, იზოლდა კურტანიძე, ლაურა შავიძე, მაია თაბუკაშვილი, რეზო კამკამიძე, თემური ჭყოიძე თითქმის ერთი ოჯახის წევრებივით ვიყავით. ვიცოდით ერთმანეთის ჭირ-ვარამი, გვიხაროდა და ვწუხდით ერთად. გიგონებთ სევდით. დაგინთებთ სანთლებს და შევევედრებით უფალს შენი სულის სასუფეველში დამკვიდრებისთვის.

**ცისანა ფანცულაია**


მთავარი რედაქტორი ლაურა გოგოლაძე 593 900 501

რედაქტორის მოადგილე ნინო კაპანაძე 593 35 65 80

სოფიკო ჭიპაშვილი 557 26 77 99

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №17
ტელ: 8 433 22 16 27
593 90 05 01
E-mail: gogoladze.laura@gmail.com
გაზეთი რეგისტრ.№47/5–ბ–12

დაიბეჭდა შპს „მბმ პოლიგრაფში“
ქ. ქუთაისი აკ. წერეთლის ქ.№186
ტელ. 599 95 96 86 8 431 23 45 54